ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5428967

ნომერი: AR1827190

თარიღი : 20.05.2021

გაცემის თარიღი : 01.06.2021

გაცნობის თარიღი : 02.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზედაზენი , N4 კორპუსის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. #12, მე-10 ბლოკი, ბინა 15-03

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020

წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 20 მაისს №AR1827190 განცხადებით მომართა მამუკა წერეთელმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებით შეთანხმდა №01.12.11.037.115 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (A ბლოკი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 18 ნოემბრიდან 2022 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 27 აპრილის №5385161 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებაში, განაშენიანების, საერთო, საცხოვრებელ, საზაფხულო და კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობთან დაკავშირებით. შესაბამისად, ავტოსადგომის ფართობი დარჩა უცვლელი.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად არ არის დაფიქსირებული ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობი - 130.2 კვ.მ.
სამსახურმა შეთანხმებული გეგმა-ნახაზებისა და განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს ღია ავტოსადგომი - 130.2 კვ.მ. ფართობით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს - 130.2 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2021 წლის 27 აპრილის №5385161 ბრძანებით ჩანაცვლებული) 0.00 ნიშნულის გეგმა, ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5190450 და სამსახურის 2021 წლის 27 აპრილის N5385161 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.